



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000075519257520

0900 ქ. ახმეტა ჩოლოვაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 15

02 / დეკემბერი / 2020 წ.

დადგენილება

„ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2020 წლის პროგრამის და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 3 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2020 წლის პროგრამის და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 3 იანვრის N1 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03/01/2020, 010250050.35.162.016519) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

- დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის მე-6 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:**
„გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის (18 წლამდე) –225 ლარი (საახალწლო კალათი –125 ლარი, სააღდგომო კალათი--100 ლარი);“
- დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის მე-6 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:**
„დ) უდემამო ბავშვებისათვის (18 წლამდე) –225 ლარი (საახალწლო კალათი --125 ლარი, სააღდგომო კალათი--100 ლარი);“
- დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის მე-6 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:**
„კ) მაღალმთიან რეგიონში (თუშეთი) მცხოვრები ოჯახები –225 ლარი (საახალწლო კალათი --125 ლარი, სააღდგომო კალათი--100 ლარი);“
- დადგენილებით დამტკიცებული დანართი N2 ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.**

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერა/
შტამბასმულია
ელემენტრულად



თამარ ყვინიშვილი

„ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2020 წლის
პროგრამის ბიუჯეტი

N	პროგრამის დასახელება	ბენეფიციართა სავარაუდო რაოდენობა	სოციალური დახმარების ოდენობა ლარებში ერთ პირზე/ოჯახზე	სულ
1	2	3	4	5
1	<p>ელექტროენერჯის ან ბუნებრივი აირის გადასახადის თანადაფინანსება წელიწადში 100 ლარის ოდენობით შემდეგ პირებზე:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომლებიც არ იღებენ სოციალურ შემწეობას და მათი ოჯახის სარეიტინგო ქულა არის 65 000-დან 80 000-მდე (ქულის მინიჭების თარიღიდან გასული უნდა იყოს არაუმეტეს ორი წელი); 2) მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი არასრულწლოვანი შვილი და არ იღებენ „დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის“ მე-5 პუნქტის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ბენეფიციართათვის იმავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ყოველთვიურ ფულად დახმარებას; 3) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები. 	112	100	11 275

2	ეკონომიკურად გაჭირვებულ და სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა სტაციონარული მკურნალობის, ოპერაციისა (სახელმწიფოს მიერ ასანაზღაურებელი თანხის გათვალისწინებით) და ლაბორატორიული გამოკვლევების დაფინანსება, აგრეთვე ცერებრალური დამბლით დაავადებულ და სხვა ფსიქომოტორული პათოლოგიის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციისათვის საჭირო პროცედურების დაფინანსება (გარდა ესთეტიკური ქირურგიის, კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობის და ლოგოპედიის მომსახურებისა)		მოქალაქის მიერ გადასახდელი თანხის 2000 ლარის და მეტის შემთხვევაში - არაუმეტეს 1000 ლარისა, 2000 ლარამდე თანხის შემთხვევაში - არაუმეტეს 500 ლარისა, მოქალაქის მიერ 300 ლარამდე გადასახდელი თანხის შემთხვევაში აღნიშნული პროგრამით დაფინანსდება მხოლოდ ის ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულა არის 100 000-მდე.	250 000
3	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები 18 წლამდე	33	საახალწლოდ - 125 სააღდგომოდ - 100 სულ - 225	4125 2972 სულ 7097
4	უდემამო ბავშვები (18 წლამდე)	1	საახალწლოდ - 125 სააღდგომოდ - 100 სულ - 225	125 200 სულ - 325
5	95 წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა დახმარება	16	100	1600
6	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახები	9	250	2250
7	ომის ვეტერანთა სადღესასწაულო და დაკრძალვის სარიტუალო ხარჯები ომის ვეტერანთა სარიტუალო ხარჯები	3 10	ა) სამამულო ომის ვეტერანების სადღესასწაულო დახმარება 9 მაისისთვის - 250 ბ) ომის ვეტერანთა სარიტუალო ხარჯების დაფინანსება - 250	750 2500 სულ 3250
8	ოჯახების დახმარება პირველი და მეორე ბავშვის შეძენის შემთხვევაში, ერთჯერადად,	120	ა) პირველი ბავშვის შეძენის შემთხვევაში - 100 ლარი;	15 100

	ბავშვის ერთი წლის ასაკამდე, (გარდა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ოჯახებისა)		ბ) მეორე ბავშვის შეძენის შემთხვევაში - 200 ლარი	
9	უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯი	4	250	1000
10	სასურსათო პაკეტი მაღალმთიანი რეგიონის (თუშეთი) მუდმივად მცხოვრებთათვის	27	ა) საახალწლოდ - 125 ბ) სააღდგომოდ - 100 სულ - 225	3375 2485 სულ - 5860
11	მაღალმთიან რეგიონში (თუშეთი) მუდმივად და სეზონურად მცხოვრებ პირთა პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტების შეძენა			1500
12	ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის სოციალური სახლის“ უფასო სასადილოს დაფინანსება	370		202 407
13	დიალიზის პროგრამით მოსარგებლე პირების ტრანსპორტირების ხარჯები	20	600 ლარი	12 000
14	სტიქიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით ბინის ქირის ხარჯები	4	ყოველთვიურად არაუმეტეს 100 ლარი, 4 თვის განმავლობაში	1600
15	დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე, ონკოლოგიური და ფსიქიკური პრობლემის მქონე ავადმყოფებისათვის შესაბამისი მედიკამენტების თანხის თანადაფინანსება.		წელიწადში არაუმეტეს 1000 ლარი	46 943
16	განსაკუთრებულ შემთხვევებში „სოციალური პაკეტით განსაზღვრული დახმარების მსურველ პირთა განცხადებების განმხილველი კომისიის“ დასკვნის საფუძველზე გამოყოფილი სოციალური დახმარება იმ პირების მიმართ, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ სამიზნე ჯგუფის მოთხოვნებს ან კონკრეტული მიზეზების გამო ამ ეტაპზე შეუძლებელია დახმარება სოციალური პროგრამის სხვა მუხლებიდან			37 300

17	უსინათლოთათვის ერთჯერადი დახმარება	20	150	3000
18	რენტგენირებულ ბავშვთა ბიოლოგიური ოჯახების ერთჯერადი დახმარება	4	500	2000
19	დაუნის სინდრომის მქონე პირთა ერთჯერადი დახმარება დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისთვის	10	150	1500
20	აუტისტური სპექტრის მქონე პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება აუტიზმის ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღისთვის	10	150	300
21	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილე შშმ ვეტერანების საკურორტო დასვენებისა და რეაბილიტაციის დახმარება	9	600	5400
22	მაღალმთიან რეგიონში (თუშეთი) „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრების“ სტატუსის მქონე პირთა მოზამთრე ოჯახების 15მ ³ II ხარისხის მერქნით (საშუა მერქანი) დახმარება	16	75	1200
				სულ 612 907

ახმეტის მუნიციპალიტეტის

თამარ ყვინიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე